საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 თებერვლის
დადგენილება № 600

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად
ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:7

1. 2012 წლის 8 თებერვალს გამოცხადდეს ღია კონკურსი ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების (სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად 4 წლის ვადით.
2. დამტკიცდეს დებულება „აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ (დანართი №1).
3. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიების შემადგენლობები ფაკულტეტების მიხედვით (დანართი №2).
4. დამტკიცდეს ვაკანტური აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი (დანართი №3).
5. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები და კონკურსზე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა (დანართი №4).
6. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2012 წლის 9 მარტიდან და გაგრძელდეს 2012 წლის 13 მარტის ჩათვლით, ყოველ დღე, დასვენებისა (კვირა დღე) და უქმე დღეების გარდა, 10^{00}-დან 15^{00} საათამდე, შესაბამისი ფაკულტეტის საკონკურსო კომისიაში.
7. კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის 20 მარტიდან 2012 წლის 25 მარტამდე. საკონკურსო კომისიების მიერ კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2012 წლის 26 მარტისა, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: **www.gtu.ge**.
8. კონკურსი ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად.
9. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნეს: კონკურსანტის კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და პიროვნულობის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; სხვა მიღწევები, კვალიფიკაციები, დამსახურება და რეპუტაცია; ასევე საკონკურსო კომისიის მიერ (კომისიის გადაწყვეტილებით ან კონკურსანტის მოთხოვნით) კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს (საჩვენებელი ლექციის) შედეგები.
10. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2012 წლის 01 აპრილამდე.

11. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებმა კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყონ კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.
12. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

აკადემიური საბჭოს 2012 წლის 06 თებერვლის
№600 დადგენილების

დანართი №1

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ

წინამდებარე დებულება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წესდების საფუძველზე აყალიბებს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესებს.

თავი I. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობები (აკადემიური პერსონალი)

მუხლი 1. აკადემიური თანამდებობები (აკადემიური პერსონალი)

1. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებს მიეკუთვნება: სრული პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობები.
2. სრული პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
3. ასოცირებული პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
4. ასისტენტ-პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება ლაბორატორიულ, სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებს.

თავი II. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დაკავების და კონკურსის გამოცხადების წესები

მუხლი 2. აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წევრებს ირჩევენ უნივერსიტეტის ფაკულტეტების საკონკურსო კომისიები (კომისიათა წევრები).

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის პირობები

1. სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 წლის გამოცდილება. დამატებითი პირობები შეიძლება განსაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ, რაც უნდა დამტკიცდეს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და აისახოს კონკურსის დანიშვნის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში.
2. ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება.
3. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

4. აკადემიურ თანამდებობაზე შესაძლებელია აირჩეს აგრეთვე შესაბამისი პროფესიული გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის საჭირო კომპეტენცია. პირის კვალიფიკაცია შესაძლებელია დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით.

მუხლი 4. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსის გამოცხადება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობის განახლების ან წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით.
2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობის განახლების შემთხვევაში კონკურსი ტარდება არა უგვიანეს აკადემიური პერსონალის წევრთა უფლებამოსილების ამოწურვამდე, ხოლო ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში – შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნიდან არა უგვიანეს 3 თვის ვადაში. აღნიშნული ვადის შემდგომი გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.
3. კონკურსს ნიშნავს და აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
4. კონკურსის ჩატარების თარიღს, პირობებს, აგრეთვე კანდიდატების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხას ადგენს და აქვეყნებს აკადემიური საბჭო, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
5. კონკურსის შესახებ მიღებული დადგენილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო გაცნობისათვის, რომელიც განცხადების სახით უნდა გამოიკრას უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილებში, მათ შორის ფაკულტეტებზე; ასევე უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბეჭდვითი მედიის რომელიმე ორგანოში.
6. გამოქვეყნებულ განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების, დასრულების, კონკურსის ჩატარებისა და შედეგების გამოქვეყნების თარიღები, ასევე კონკურსის პირობები და კანდიდატების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა.
7. ამ დებულებით განსაზღვრულ დღეებში იგულისხმება კალენდარული დღეები, თუ ამავე დებულებით სხვა რამ არ არის მითითებული.

თავი III. ფაკულტეტის საკონკურსო კომისია

მუხლი 5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისია

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წევრთა ასარჩევად (კონკურსის ჩასატარებლად), აკადემიური საბჭოს მიერ თითოეულ ფაკულტეტზე იქმნება საკონკურსო კომისია.
2. საკონკურსო კომისია შედგება 5-10 წევრისაგან.
3. საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს და მის შემადგენლობაში თითოეულ წევრს შეარჩევს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
4. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ და მდივნად საკონკურსო კომისიის წევრები აირჩევიან კომისიის პირველ სხდომაზე.
5. საკონკურსო კომისიის ხელშეწყობისა და ტექნიკური სამუშაოს შესრულების მიზნით, შეიძლება შეიქმნას საკონკურსო კომისიის სამდივნო საკონკურსო კომისიის მდივნისა და 2-3 ტექნიკური მუშაკის შემადგენლობით, რომელსაც აკომპლექტებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი დამხმარე პერსონალის ან/და სტუდენტების წრიდან. სამდივნო ექვემდებარება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს.
6. საკონკურსო კომისია ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე.

მუხლი 6. საკონკურსო კომისიის უფლება-მოვალეობები

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია:
ა) განახორციელოს აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ორგანიზება და ჩატარება;
ბ) აირჩიოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;

გ) მიიღოს ყველა გადაწყვეტილება კონკურსის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
დ) განახორციელოს კონკურსში მონაწილე კანდიდატების (განმცხადებელების) რეგისტრაცია, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში რეგისტრაციაზე უარი უთხრას განმცხადებელს ან მოახდინოს კონკურსანტის რეგისტრაციის გაუქმება;
ე) მიიღოს გადაწყვეტილება საკონკურსო კომისიის სამდივნოს შექმნის შესახებ;
ვ) მიიღოს და განიხილოს საპროცედურო დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებები/საჩივრები;
ზ) ნაწილობრივ ან მთლიანად გააუქმოს ან შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილებები;
თ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ დებულებით გათვალისწინებულ მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.
ი) არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.
2. საკონკურსო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით.
3. საკონკურსო კომისიას ეკისრება ვალდებულება კონკურსის ამ დებულებით დადგენილი წესით ჩატარებაზე.
4. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს შესაბამის ოქმებს და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. საკონკურსო კომისიის სხდომებს ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ხელმძღვანელობდეს კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა იმავე სხდომაზე.
6. საკონკურსო კომისიის მდივანი კოორდინაციას უწევს საკონკურსო კომისიის სამდივნოს მუშაობას, უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას, ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს (მათ შორის კონკურსის შედეგების შემაჯამებელ ოქმს), რეგისტრაციაში ატარებს კონკურსში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს შესაბამის ცნობებს, რეგისტრაციაში ატარებს საკონკურსო კომისიაში შესულ კორესპონდენციებს (მათ შორის განცხადებებს/საჩივრებს) და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
7. საკონკურსო კომისიის სხდომის მოწვევის უფლება აქვს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ან მისი წევრების არა ნაკლებ 1/3-ს.
8. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3 მაინც.
9. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრის წესით, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმის (ოქმების) სახით.
10. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
11. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი, კომისიისა და სამდივნოს წევრები ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის უნივერსიტეტის/შესაბამისი ფაკულტეტის ბიუჯეტიდან შეიძლება იღებდნენ ანაზღაურებას.
12. საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის არქივს.

მუხლი 7. ინტერესთა შეუთავსებლობა

საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს იმავე ფაკულტეტზე კონკურსში მონაწილე კანდიდატი.

თავი IV. კონკურსის ორგანიზებისა და ჩატარების წესები

მუხლი 8. კონკურსის ორგანიზება

1. კონკურსის ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და შესაბამისი ფაკულტეტი უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფასა და სათანადოდ მოწყობას, ასევე კომისიის სამდივნოს დაკომპლექტებას დამხმარე პერსონალის ან/და სტუდენტების წრიდან.
3. საკონკურსო კომისიები ჩვეულებრივ მუშაობენ 10^{00} საათიდან 17^{00} საათამდე. საჭიროების შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, დასაშვებია სამუშაო საათების ცვლილება, რაც უნდა აისახოს საკონკურსო კომისიის შესაბამის ოქმში.
4. კონკურსი ტარდება, თუ გამოცხადდა ამომრჩევლთა (საკონკურსო კომისიის წევრთა) 2/3 მაინც.

მუხლი 9. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა (კონკურსანტთა) რეგისტრაციის წესი

1. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსში მონაწილეობის მსურველთა (შემდგომში „განმცხადებელი“) განცხადებებს (შემდგომში „საკონკურსო განცხადება“) იღებს და რეგისტრაციაში ატარებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია/კომისიის სამდივნო კონკურსის გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში.

2. საკონკურსო განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნეს დადგენილი ფორმით უნივერსიტეტის რექტორის სახელზე. საკონკურსო განცხადებისა და სხვა საკონკურ-სო საბუთების (განცხადების დანართი - კონკურსანტის ანკეტა, ცნობები განცხადებების/საჩივრების მიღების შესახებ, სარეგისტრაციო ჟურნალი და სხვ.) სახეს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ხოლო მათ დაბეჭდვას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.
3. საკონკურსო განცხადებაში აღინიშნება: განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, შესაბამისი ფაკულტეტისა და საკონკურსო თანამდებობის დასახელება საშტატო ერთეულის მითითებით. აგრეთვე დასტური იმისა, რომ განმცხადებელი გაეცნო უნივერისტეტის წესდებას, ეთიკის კოდექსს, კონკურსის ჩატარების წესს (ამ დებულებას), არსებული საკონკურსო თანამდებობების ჩამონათვალსა და საშტატო ერთეულების რაოდენობას, აგრეთვე აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის პირობებს. აქვე კეთდება განმცხადებლის ხელმოწერა და მიეთითება თარიღი.

4. საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაერთოს კონკურსანტის ანკეტა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სათანადო ინფორმაცია (მათ შორის იმ სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალი, რომლებშიც კონკურსანტს შეუძლია სალექციო კურსის ან/და სხვა მეცადინეობების გაძღოლა), რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება კონკურსანტის შესაბამისობის დადგენა საკონკურსო თანამდებობის მოთხოვნებთან და შესაბამისი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამასთან (პროგრამებთან). საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაერთოს აგრეთვე წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ქსეროასლი). წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.
5. დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს დედნის ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლის და ქსეროასლის სახით, ხოლო ყველა სხვა ინფორმაცია კი –

ისეთი სახით, რომ საკონკურსო კომისიას შეეძლოს მისი უტყუარობის (სისწორის) შემოწმება/დადგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ იქნება მიღებული განსახილველად ან აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება მხედველობაში მიღებული საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის მონაცემების შეფასებისას.

6. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი არ მოითხოვს შესაბამის პუბლიკაციათა წარმოდგენას, თუ იგი (მისი ყველა გვერდი) დამოწმებული იქნება შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (დამოწმება ასევე შესაძლებელია უნივერსიტეტის შესაბამისი დეპარტამენტის/მიმართულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და დეპარტამენტის/ფაკულტეტის ბეჭდით).

7. განცხადების მიღების შემთხვევაში საკონკურსო კომისიის მდივნის მიერ განმცხადებელზე გაიცემა ცნობა განცხადების მიღების შესახებ, რომელშიც აღინიშნება განმცხადებლის სახელი, გვარი, ფაკულტეტისა და საძიებელი თანამდებობის დასახელება, საშტატო ერთეული (სრული ან ნახევარი), წარმოდგენილი დოკუმენტების სრული ნუსხა ფურცლების რაოდენობის მითითებით, ასევე საბუთების მიღების თარიღი და რიგითი ნომერი. ამასთან, განმცხადებელს უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები (ნოტარიულად დამოწმებული ასლები), ქსეროასლები კი რჩება საკონკურსო კომისიაში.

8. საკონკურსო კომისიისაგან ცნობის ან სხვა რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებს.
9. განცხადების მიღებიდან 6 დღის განმავლობაში (მაგრამ არა უგვიანეს 3 დღისა განცხადებების მიღების ვადის ამოწურვამდე შემდეგ) საკონკურსო კომისიის სამდივნო ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, წინამდებარე დებულებისა და კონკურსის შესახებ განცხადებაში წარმოდგენილ პირობებთან, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულესა და სისწორეს და ხარვეზის არ არსებობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის კონკურსში მონაწილედ (კონკურსანტად) რეგისტრაციის შესახებ.
10. თითოეულ საკონკურსო ადგილზე რეგისტრირებულ კონკურსანტთა სია ქვეყნდება თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე (სტენდზე).
11. წარმოდგენილ დოკუმენტებში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, საკონკურსო კომისია წერილობით აცნობებს განმცხადებელს, რომელიც უფლებამოსილია აღმოჩენილი ხარვეზი გამოასწოროს შეტყობინების მიღებიდან 3 დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში წყდება საქმის წარმოება განცხადებაზე.
12. წარმოდგენილ დოკუმენტებში/ინფორმაციაში სიყალბის აღმოჩენისას წყდება საქმის წარმოება შემოსულ განცხადებაზე, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი და წერილობით ეცნობება კონკურსანტს.
13. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები (გარდა კონკურსიის შედეგებისა) ამავე საკონკურსო კომისიაში შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.

მუხლი 10. კონკურსის ჩატარება, კონკურსანტის შერჩევა და შედეგების შეჯამება
1. ა) კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე დროის შუალედში, მას შემდეგ რაც განხორციელდება თითოეულ საკონკურსო თანამდებობაზე დარეგისტრირებულ კონკურსანტთა მონაცემების ანალიზი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში (საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით) კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარდება ინტერვიუ.

ბ) საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს კონკურსანტისაგან საჩვენებელი ლექციის ჩატარება.

2. საკონკურსო კომისიების მიერ უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსანტთა არჩევა ხდება მათი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით საკონკურსო თანამდებობასთან და შესაბამისი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამასთან (პროგრამებთან), კონკურსანტთა სხვა აქტივობების, მიღწევების, დამსახურებისა და რეპუტაციის გათვალისწინებით.

3. კონკურსის ჩატარების დღეს საკონკურსო კომისია იხილავს რა კონკრეტული საკონკურსო თანამდებობის არსებულ საშტატო ერთეულებზე კონკურსში მონაწილე თითოეული კონკურსანტის მონაცემებს, ღია კენჭისყრით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამასთან, საკონკურსო კომისიის ყოველ წევრს უფლება აქვს კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე ხმა მისცეს არაუმეტეს იმდენ კონკურსანტს, რამდენი საკონკურსო ადგილიცაა მოცემულ თანამდებობაზე. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამის ოქმში (ოქმებში).

4. კონკურსში გამარჯვებულად (აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულად) ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ იმ კონკურსანტთა რაოდენობა, რომლებმაც მოიპოვეს ხმათა საჭირო რაოდენობა, აღემატება შესაბამისი საკონკურსო ადგილების რაოდენობას, ან კონკურსანტების მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კონკურსანტებს დაუყოვნებლივ ეყრება განმეორებით კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. განმეორებით კენჭისყრაზე ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც წინა კენჭისყრაზე მეტი ხმა მიიღო. თუ მეორე კენჭისყრითაც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, ამავე წესით ტარდება იმდენი კეჭისყრა, რამდენიც საჭირო იქნება მოცემულ საკონკურსო თანამდებობაზე არსებული საკონკურსო ადგილის (ადგილების) დაკომპლექტებისათვის.

5. მას შემდეგ, რაც კონკურსი ჩატარდება ყველა საკონკურსო თანამდებობაზე, საკონკურსო კონმისიის მიერ, თითოეული აკადემიური თანამდებობისათვის ივსება და კენჭისყრით მტკიცდება შემაჯამებელი ოქმები ცალ-ცალკე, რომლებშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) საკონკურსო კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის სახელები და გვარები;

ბ) კენჭისყრაზე გამოცხადებულ საკონკურსო კომისიის წევრთა სახელები, გვარები და ხელმოწერები;

გ) თითოეული კონკურსანტის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

დ) კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადებულ კონკურსანტთა სახელები და გვარები;

ე) შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების თარიღი.

თავი V. განმეორებითი კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 11. განმეორებითი კონკურსი

თუ კონკურსში რომელიმე საკონკურსო თანამდებობაზე არ მონაწილეობდა არც ერთი კონკურსანტი, ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ვაკანსიები, დარჩენილ ვაკანსიებზე ინიშნება განმეორებითი (ხელახალი) კონკურსი ამ დებულებით განსაზღვრული პროცედურების სრული დაცვით.

თავი VI. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება და აკადემიური პერსონალის ახლად არჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობა

მუხლი 12. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება

საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს აქვეყნებს თითოეულ აკადემიურ თანამდებობაზე/საკონკურსო ადგილზე კონკურსის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული დღისა, მისი ჩატარების ან/და ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

მუხლი 13. აკადემიური პერსონალის ახლად არჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობა

აკადემიური პერსონალის ახლად არჩეული წევრის უფლებამოსილება ძალაშია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

თავი VII. კონკურსის პროცედურისა და შედეგების გასაჩივრების წესი

მუხლი 14. კონკურსის პროცედურისა და შედეგების გასაჩივრება

1. საკონკურსო კომისიის მიერ ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით კონკურსში მონაწილე კონკურსანტს ან საკონკურსო კომისიის წევრს უფლება აქვს დარღვევიდან 3 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი იმავე საკონკურსო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.
2. განცხადება/საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
ა) შესაბამისი საკონკურსო კომისიის დასახელება;
ბ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;
გ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი.
დ) დარღვევის შინაარსი;
ე) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);
ვ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;
ზ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა, თარიღი და დრო.
3. განცხადებას/საჩივარს თან უნდა ერთვოდეს დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
4. ფაკულტეტის საკონკურსო კომისია ვალდებულია განმცხადებელს გადასცეს ცნობა, რომელშიც აღინიშნება განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო, განცხადების/საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს განცხადება/საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების, დაკმაყოფილებაზე უარის ან მისი განუხილველად დატოვების შესახებ.
5. განცხადების/საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას საკონკურსო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია ან შეიძლება იქონიოს კონკურსის შედეგზე.
6. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დებულება

შემუშავებული და მიღებულია აკადემიური საბჭოს მიერ

აკადემიური საბჭოს 2012 წლის 06 თებერვლის
№600 დადგენილების
დანართი №2

საკონკურსო კომისიების შემადგენლობა

- სამშენებლო ფაკულტეტის საკონკურსო კომისია:
ა. სოხაძე
მ. ჯავახიშვილი
შ. გაგოშიძე
რ. ცხვედაძე
მ. კუბლაშვილი

- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საკონკურსო კომისია:
ნ. აბზიანიძე
თ. კუპატაძე
ნ. ქევხიშვილი
მ. რუხვაძე
დ. ლაოშვილი
- სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტის საკონკურსო კომისია:

- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საკონკურსო კომისია:
ი. კვირიკაძე
მ. ხუციშვილი
თ. ჭეიშვილი
მ. მაისურაძე
ნ. ღონღაძე
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საკონკურსო კომისია:
ა. შარვაშიძე
გ. ჯაფარიძე
თ. მეგრელიძე
ვ. გოგილაშვილი
ო. ბიჭიაშვილი
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საკონკურსო კომისია:
მ. მილაშვილი
ნ. შავიშვილი
ნ. ხაბეიშვილი
ვ. ფირცხალავა
მ. დავითაია
- ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საკონკურსო კომისია:
№1
ქ. ქოქრაშვილი
ჯ. გახოკიძე
ვ. ხრუსტალი
ი. აქუბარდია
ზ. ძლიერივილი
№2
ი. კვესელავა
ვ. შუბითიძე
ბ. იმნაძე
ს. სიგუა

ქ. ჯიჯეიშვილი
ზ. ჩხაიძე
ა. სიჭინავა
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საკონკურსო კომისია:

კ. კამკამიძე
ვ. ხოჭოლავა
თ. ძიგრაშვილი
ზ. ზურაბიშვილი
ნ. ჯიბლაძე

აკადემიური საბჭოს 2012 წლის 06 თებერვლის
№600 დადგენილების
დანართი №3

ვაკანტური აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა: ტელეკომუნიკაცია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	მიწისპირა და გლობალური კავშირის სისტემები	სრული პროფესორი (600სთ)	1
2	მობილური რადიოკავშირის, რადიოსალოკაციაო და რადიოსანავიგაციო სისტემები		
3	სატელიტური და რადიოსარელეო სისტემები		
4	საკაბელო და საეთერო სატელევიზიო სისტემები		

საბაკალავრო პროგრამა: ტელეკომუნიკაცია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	რადიოელექტრონული კომპონენტები და სქემოტექნიკა (ინგლისური)	სრული პროფესორი (600სთ)	1
2	სიგნალები და წრედები (ინგლისური)		

საბაკალავრო პროგრამა: ტელეკომუნიკაცია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ელექტრომაგნიტური თავსებადობა, უსაფრთხოება და რადიოსაწინააღმდეგო სისტემები;	სრული პროფესორი (600სთ)	1
2	ელექტრომაგნიტური ეკოლოგია და ელექტრომაგნიტური თავსებადობა		

საბაკალავრო პროგრამა: ტელეკომუნიკაცია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ტელეკომუნიკაციის ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემები	სრული პროფესორი (600სთ)	1
2	სახაზო კოდირება ბოჭკოვან-ოპტიკურ სისტემებში		
3	თანამედროვე ბოჭკოვან-ოპტიკური ტექნოლოგიები		

საბაკალავრო პროგრამა: ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	მოცულობითი ჰიდრომანქანები და ჰიდროამძრავები	სრული პროფესორი (600სთ)	1
2	ჰიდროტურბინები და ჰიდრომექანიკური მოწყობილობები		
3	ჰიდრომექანიკური მოწყობილობის საიმედოობა		

საბაკალავრო პროგრამა: ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ელექტრული მანქანები	სრული პროფესორი (600სთ)	1
2	ელექტრული მანქანების მათემატიკური მოდელირება		
3	ტექნიკური ელექტროდინამიკა		

საბაკალავრო პროგრამა: ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ენერგეტიკის მათემატიკური ამოცანები	სრული პროფესორი (600სთ)	1

საბაკალავრო პროგრამა: ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ელექტრული სადგურებისა და ქვესადგურების ელექტრული ნაწილი	ასოცირებული პროფესორი (300სთ)	1

საბაკალავრო პროგრამა: ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ელექტროტექნოლოგიური დანადგარების, კომპლექსებისა და ქალაქების ელექტრომომარაგება	სრული პროფესორი (600სთ)	1
2	სადგურების და ქვესადგურების ელექტრული ნაწილი		

საბაკალავრო პროგრამა: ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ელექტროტექნოლოგიური დანადგარების, კომპლექსებისა და მათი ელექტრომომარაგების ქსელის მონტაჟი და ექსპლუატაცია	სრული პროფესორი (600სთ)	1

საბაკალავრო პროგრამა: ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	მარკეტინგის მართვა ენერგეტიკაში	სრული პროფესორი (600სთ)	1
2	კადრებისა და ხარისხის მართვა		
3	პროფესიული უნარ-ჩვევები		

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	სამედიცინო და სპეცდანიშნულების მასალების თბური პროცესები და დანადგარები	სრული პროფესორი (600 სთ)	1
2	სამედიცინო მასალებისა და ნაკეთობების ქიმიური ტექნოლოგია		
3	ცემენტის, მინის და კერამიკის თბური პროცესები და აპარატები		

საბაკალავრო პროგრამა: ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ელექტროქიმიის თეორიული საფუძვლები	სრული პროფესორი (600 სთ)	1
2	გალვანური პროცესების თეორია		
3	გალვანოტექნიკა		
4	ელექტროქიმიის ტექნოლოგიის საფუძვლები		

საბაკალავრო პროგრამა: გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	გარემოს დაცვა და საინჟინო ეკოლოგია	სრული პროფესორი (600 სთ)	1
2	ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა და პროგნოზირება		
3	ეკოლოგიური აუდიტი		

საბაკალავრო პროგრამა: ფარმაცია

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	სამკურნალო, კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებების ტექნოლოგიის საფუძვლები	ასოცირებული პროფესორი (600 სთ)	1
2	ფარმაცევტული ქიმია		
3	ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმია და ექსპერტიზა		

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა: ტრანსპორტი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	საინჟინრო გრაფიკა	სრული პროფესორი (600 სთ)	1

საბაკალავრო პროგრამა: საზღვაო მეცნიერებები

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	გემის შიგაწვის ძრავები და ენერგეტიკული დანადგარები	სრული პროფესორი (600 სთ)	1
2	დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მართვა გემმისადგომებში		

საბაკალავრო პროგრამა: ტრანსპორტი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	სატრანსპორტო ლოჯისტიკა	სრული პროფესორი (600 სთ)	1
2	სატრანსპორტო ლოჯისტიკის ეკონომიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფა		
3	ტრანსპორტის თეორიული საფუძვლები		
4	სატრანსპორტო ლოჯისტიკური კომპლექსები		

საბაკალავრო პროგრამა: ტრანსპორტი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ლოჯისტიკური სისტემები	სრული პროფესორი (300 სთ)	1

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა: არქიტექტურა

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	მოდერნიზმი: საწყისები, მიმართულებები, დღევანდელობა	სრული პროფესორი (600სთ)	1
2	რენესანსის პერიოდის სახვითი ხელოვნება		

საბაკალავრო პროგრამა: არქიტექტურა

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	არქიტექტურული ფიზიკა	სრული პროფესორი (600სთ)	1
2	აკუსტიკა და განათება ინტერიერში		
3	მზე და არქიტექტურა		

საბაკალავრო პროგრამა: არქიტექტურა

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	კონსტრუქციები არქიტექტურაში	ასოცირებული პროფესორი (600სთ)	1
2	თანამედროვე არქიტექტურული კონსტრუქციები		

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	შესავალი სამართალმცოდნეობაში	ასოცირებული პროფესორი (300 სთ)	1
2	სამართლის მეთოდები		

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	ასოცირებული პროფესორი (300 სთ) ასისტენტ პროფესორი (300 სთ)	2 1
2	ქართული სამართლის ისტორია		

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი	ასოცირებული პროფესორი (300 სთ)	1
2	სანივთო სამართალი		

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი)	სრული პროფესორი (300სთ) ასოცირებული პროფესორი (600 სთ)	1 1
2	სახელშეკრულებო სამართალი		
3	კანონისმიეირი ვალდებულებები		

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	სამოქალაქო სამართლის პროცესი	ასოცირებული პროფესორი (300 სთ) ასისტენტ პროფესორი (300 სთ)	2 3
2	სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოში		
3	პროფესიული ეთიკა		

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	სამეწარმეო სამართალი	ასოცირებული პროფესორი (600 სთ)	1
2	ბიზნესის სამართალი		
3	გადახდისუუნარობის სამართალი		

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	საფინანსო სამართალი	ასოცირებული პროფესორი (600 სთ) ასოცირებული პროფესორი (300 სთ) ასისტენტ პროფესორი (300 სთ)	1 1 1
2	საგადასახადო სამართალი		

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	საკონსტიტუციო სამართალი	სრული პროფესორი (300 სთ)	1

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	ასოცირებული პროფესორი (300 სთ) ასისტენტ პროფესორი (300 სთ)	1 1

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ადმინისტრაციული სამართალი	სრული პროფესორი (600 სთ) ასოცირებული პროფესორი (600 სთ) ასისტენტ პროფესორი (600 სთ) ასისტენტ პროფესორი (300 სთ)	1 1 1 1
2	სამეწარმეო წესრიგის სამართალი		
3	ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი		

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	ასოცირებული პროფესორი (300 სთ)	1

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	საერთაშორისო საჯარო სამართალი	ასოცირებული პროფესორი (600 სთ)	1
2	ევროპის სამართალი		

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	ასოცირებული პროფესორი (300 სთ)	1

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	საერთაშორისო კერძო სამართალი.	ასოცირებული პროფესორი (600 სთ) ასისტენტ პროფესორი (300 სთ)	1 1
2	საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი.		
3	საინვესტიციო სამართალი		

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	საბანკო სამართალი	ასოცირებული პროფესორი (300 სთ) ასისტენტ პროფესორი (300 სთ)	1 1
2	ფასიანი ქაღალდების სამართალი		
3	სადაზღვევო სამართალი		

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	სისხლის სამართლის პროცესი	სრული პროფესორი (300 სთ) ასოცირებული პროფესორი (600 სთ)	1 1
2	კრიმინალისტიკა		

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	სისხლის სამართალი	სრული პროფესორი (600 სთ)	1

საბაკალავრო პროგრამა: ბიზნეს სამართალი

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	კერძო სამართალი	ასისტენტ პროფესორი (600 სთ) ასისტენტ პროფესორი (300 სთ)	2 5

საბაკალავრო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობა

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	კულტუროლოგია	სრული პროფესორი (600 სთ)	1
2	გლობალიზაცია და ეროვნული ფენომენი		

საბაკალავრო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობა

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	სოციოლოგია	სრული პროფესორი (600 სთ)	1
2	ფსიქოლოგია		

საბაკალავრო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობა

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	საერთაშორისო ორგანიზაციები	ასისტენტ პროფესორი (300 სთ)	1
2	პოლიტიკური და ისტორიული გეოგრაფია		

სამაგისტრო პროგრამა: ევროპა-ამერიკათმცოდნეობა

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ევროინტეგრაცია და ქართული პოლიტიკური აზროვნება	სრული პროფესორი (600 სთ)	1
2	ევროპის პოლიტიკური მმართველობის სისტემა		
3	საქართველოს ევროპული იდენტობა		
4	ევროკავშირის დიპლომატია და პრაქტიკა		

სამაგისტრო პროგრამა: საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი
საბაკალავრო პროგრამა: საბუღალტრო აღრიცხვა

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	გადაწყვეტილების მიღების რაოდენობრივი მეთოდები	სრული პროფესორი (600 სთ)	1
2	ბიზნეს-ანალიზის მეთოდები		

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: ინფორმატიკა

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	სტატისტიკური ინფორმაციის კომპიუტერული ანალიზის სისტემები	სრული პროფესორი (600 სთ)	6
2	კომპიუტერის არქიტექტურა და ექსპლუატაცია		
3	კომპიუტერული საბანკო სისტემები (ინგლისური)		
4	მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემები (ინგლისური)		
5	ინფორმაციული სისტემების ანალიზი, მოდელები და დიზაინი		
6	მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა ORACLE (ინგლისური)		
7	ალგორითმიზაციის საფუძვლები და დაპროგრამების ელემენტები (ინგლისური)		
8	პროგრამული სისტემების რეალიზაციის CASE ინსტრუმენტული საშუალებები		
9	ბიზნესის ანალიზის და ინტელექტუალური მართვის ტექნოლოგია (BI, ORACLE, OLAP)		
10	ელექტრონული ბიზნესის სისტემები		

საბაკალავრო პროგრამა: ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემები

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	კომპიუტერული პროექტების სისტემები	სრული პროფესორი (600 სთ)	2
2	პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლების (PLC) დაპროგრამების ტექნოლოგიები		
3	პრაქტიკული ელექტროინჟინერია		
4	გაზომვა, მართვა და რეგულირება მიკროკონტროლერების გამოყენებით		
5	ინფორმაციის გადაცემის ინტერფეისები და USB მოწყობილობები		

საბაკალავრო პროგრამა: ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემები

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	გაზომვის, გამოცდის, კონტროლის მეთოდები და საშუალებები	სრული პროფესორი (600 სთ)	1
2	გაზომვის ელექტრონული საშუალებები		

საბაკალავრო პროგრამა: საინჟინრო ფიზიკა

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	ოპტოელექტრონული ხელსაწყოების და იმს ტექნოლოგია	სრული პროფესორი (600 სთ)	1
2	ჰელიოენერგეტიკა		
3	ნახევარგამტარული ხელსაწყოები		

საბაკალავრო პროგრამა: მათემატიკა

N	სასწავლო კურსები	აკადემიური თანამდებობა	ვაკანსია
1	საინჟინრო მათემატიკის სრული კურსი	სრული პროფესორი (600 სთ)	1

აკადემიური საბჭოს 2012 წლის 06 თებერვლის
№600 დადგენილების
დანართი №4

საკონკურსო პირობები

1. კონკურსის ძირითადი პირობები:

ა) სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

2. აკადემიურ თანამდებობაზე შესაძლებელია აირჩეს აგრეთვე შესაბამისი პროფესიული გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის საჭირო კომპეტენცია. პირის კვალიფიკაცია შესაძლებელია დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით.

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით. 65 წლისა და მეტი ასაკის პირის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავების საკითხს ინდივიდუალურად წყვეტს აკადემიური საბჭო.

4. პირი, რომელიც მუშაობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე (სრული საშტატო ერთეული), მოცემულ კონკურსში ასევე სრულ საშტატო ერთეულზე გამარჯვების შემთხვევაში ვალდებული იქნება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდეს ან გადავიდეს ნახევარ საშტატო ერთეულზე შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე.

კონკურსზე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შესაბამის საკონკურსო კომისიაში უნდა წარადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საკონკურსო კომისიის მიერ), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის

დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ქსეროასლი);

ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები), დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით;

გ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ქსეროასლი), ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების ნუსხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (დამოწმება ასევე შესაძლებელია უნივერსიტეტის შესაბამისი დეპარტამენტის/მიმართულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და დეპარტამენტის/ფაკულტეტის ბეჭდით);

ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ქსეროასლი);

ვ) 2 ფოტოსურათი, 3X4.